დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა ოპერირების ფაზაზე

იანვარი, 2020წ.

Rev C

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

გამოცემის და შესწორების ჩანაწერი

Revision N	მომზადებულია	შემოწმებულია	დამტკიცებულია	თარიღი	მიზანი
A	ზვიად დიასამიძე - სოციალურ საკითხთა დირექტორი	ნარეშ ტელგუ - ოპერირების დირექტორი	პრაშანტ ჯოში - აღმასრულებელი დირექტორი	4 აპრილი, 2017	კრედიტორების მიერ დამტკიცების მიზნით
B	ნინო დიასამიძე - სოც. პასუხისმგებლობის დირექტორი	ზვიად დიასამიძე - სოციალურ საკითხთა დირექტორი	პრაშანტ ჯოში - აღმასრულებელი დირექტორი	30 სექტემბერი, 2019	კრედიტორების მიერ დამტკიცების მიზნით
C	ნინო დიასამიძე - სოც. პასუხისმგებლობის დირექტორი	ზვიად დიასამიძე - სოციალურ საკითხთა დირექტორი	პრაშანტ ჯოში - აღმასრულებელი დირექტორი	29 იანვარი, 2020	კრედიტორების მიერ დამტკიცების მიზნით

შინაარსი

1 შესავალი და პროექტის აღწერა 5

2 რეგულაციები და მოთხოვნები 7

2.1 მიმოხილვა 7

2.2 საქართველოს მოთხოვნები 7

2.3 საერთაშორისო საფინანსო კორპორციის (IFC) მოთხოვნები 8

2.4 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მოთხოვნები 9

2.5 საჯარო განხილვა ევროკავშირის მოთხოვნების ფარგლებში 9

2.6 აზიის განვითარების ბანკის (ADB) მოთხოვნები 10

3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ადრეულ ეტაპზე 11

3.1 პროექტის განვითარების ადრეული ეტაპი (2011-2012წწ.) 11

3.2 მშენებლობის ფაზა (2013-2016წწ.) 11

3.3 რეაბილიტაციის ფაზა (2017-2019წწ.) 13

4 დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და ჩართულობის პროგრამა 15

5 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა 19

6 დაინტერესებული მხარეები და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პროგრამები 23

7 საჩივრების მექანიზმი 23

8 მონიტორინგი და ანგარიშგება 25

დანართი A: საჩივრის ფორმა 26

დანართი B. შეხვედრის ოქმის მაგალითი 27

დანართი C: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეესტრი 28

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AGL	შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“
CIO	თემის საინფორმაციო ოფიცერი
CLO	თემთან ურთიერთობის ოფიცერი
CSR	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი
ESCO	ელექტრობაზრის ოპერატორი
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EU	ევროკავშირი
GNERC	საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული და წყამომარაგების მარეგულირებელი კომისია
GSE	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
HPP	ჰიდროელექტროსადგური
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
km	კილომეტრი
kV	კილოვოლტი
MW	მეგავატი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PIC	საჯარო საინფორმაციო ცენტრი
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
SES	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტი
TV	ტელევიზია

1 შესავალი და პროექტის აღწერა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში AGL ან „კომპანია“) განახორციელა შუახევი ჰესის მშენებლობა (შემდგომში „პროექტი“) მდინარე აჭარისწყალიზე, აჭარის რეგიონში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (რუქა 1.1).

რუქა 1.1 პროექტის სქემა



პროექტის თანამფლობელებია ქლინ ენერჯი ინვესტი (ნორვეგია), ტატა ფაუერი (ინდოეთი) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC). პროექტს ასევე აფინანსებენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), და აზიის განვითარების ბანკი (ADB).

შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი პირველია მდ. აჭარისწყალზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების კასკადში. პროექტის მშენებლობა ხორციელდებოდა შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში და მისი დადგმული სიმძლავრე 187 მეგავატს შეადგენს (178 მეგავატიანი სადგური შუახევში და მცირე 9,8-მეგავატიანი სადგური მდინარე სხალთაზე). პროექტი მოიცავს ორ კაშხალს წყალსაცავებით და ერთ დამბას მდინარეებზე: აჭარისწყალი, სხალთისწყალი და ჩირუხისწყალი.

წყლის გადასროლა ჰესისკენ ხდება მიწისქვეშა გვირაბის საშუალებით რომლის ჯამური სიგრძეა 37კმ. შუახევი ჰესი მდებარეობს მდ. აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე შუახევის მუნიციპალიტეტში. გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდება სახელმწიფო ელექტროქსელში სს „სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ აშენებული “ბათუმი-შუახევი-

ახალციხე 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით ხდება. „სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უკვე დაასრულა ბათუმი-შუახევის სეგმენტის მშენებლობა, თუმცა შუახევი-ახალციხის მშენებლობა ჯერ კიდევ პროცესში. გარდა ზემოაღნიშნულისა, „აჭარისწყალი ჯორჯია“ აშენებს 22.3კმ სიგრძის ერთჯაჭვა 35კვ-იან ეგხ „სხლათა-შუახევი,“ რომლის მეშვეობითან სხალთა ჰესის მიერ გამომუშავებული ელეტქროენერგია დაუკავშირდება შუახევი ჰესს.

187მგვტ-აინი შუახევი ჰესის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2017 წლის ივლისში და ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა იმავე წლის აგვისტოში. „შუახევი ჰესი“ მზად იყო კომერციული ოპერირებისთვის, თუმცა გარკვეული დაზიანებები დაფიქსირდა პირველად, სხალთა-დიდაჭარის გადამცემ გვირაბში, ხოლო მოგვიანებით, მთავარ სადაწნეო გვირაბში. “შუახევი ჰესმა” კომერციული ოპერირება შეწყვიტა და დაზიანების შესწავლის მიზნით მოხდა გვირაბების წყლისგან დაცლა. განხორციელდა დეტალური საკვლევ-საძიებო სამუშაოების პროგრამა. იგი მოიცავდა გვირაბის ქანების ლაბორატორიულ ანალიზს, რათა განსაზღვრულიყო გვირაბის გამაგრებითი და აღდგენითი სამუშაოების ტიპი და მოცულობა. გვირაბის გამაგრებითი სამუშაოები წარმატებით ხორციელდება და იგი 2019 წლის მესამე კვარტლის ბოლოს დასრულდა, რის შემდგომაც ჰესმა განაახლა კომერციული ოპერირება. ექსპლუატაციაში გაშვება მოხდა ეტაპობრივად, პირველად შეივსო ჩირუხი-სხალთის გადამცემი გვირაბი 2019 წლის დეკემბერში, რომელსაც მოჰყვა დიდაჭარა-შუახევის სადაწნეო გვირაბი და დეკემბრის ბოლოს ექსპლუატაციაში შევიდა შუახევი ჰესი. ჰესი სრული დატვირთვით იმუშავებს 2020 წლის პირველი კვარტლის ბოლოს.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ შეიმუშავა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) მშენებლობის ფაზაზე, რომელსაც ახორციელებდა სამშენებლო სამუშაოების დროს. აღნიშნული გეგმა წარმოადგენდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგზშ) ანგარიშის ნაწილს. SEP-ის მიზანი იყო კომპანიას ეწარმოებინა ეფექტური კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, ამასთან დაეცვა როგორც ქართული ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები. გარდა შუახევი ჰესის SEP-სა, 35კვ-იანი გადამცემი ხაზებისთვის ცალკე შემუშავდა SEP, როგორც ხაზების მშენებლობის, ასევე ოპერირების ფაზებისთვის.

წინამდებარე SEP შემუშავდა მხოლოდ შუახევი ჰესის ოპერირების ფაზისთვის. იგი აღწერს კომუნიკაციებისა და კონსულტაციების პროცედურებს. ასევე მოიცავს თემის საჩივრების/შენიშვნების მიღების, დოკუმენტირების და რეაგირების მექანიზმს. წინამდებარე გეგმა არის ცოცხალ დოკუმენტი, რომლის მონიტორინგი განხორციელდება რეგულარულად და ორ წელიწადში ერთხელ მოხდება მისი განახლება.

2 რეგულაციები და მოთხოვნები

2.1 მიმოხილვა

„აჭარისწყალი ჯორჯიას“ კორპორაციული მმართველობის და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მიმდინარე ვალდებულებების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტი შესაბამისობაშია სუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს კანონმდებლობასთან. საქართველომ ხელი მოაწერა გაეროს ეკონომიკური კომისიამ ევროპის ორჰუსის კონვენციას ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელმისაწვდომობა გარემოსდაცვით საკითხების მართლმსაჯულებაზე. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნას დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობასთან დაკავშირებით.

2.2 საქართველოს მოთხოვნები

საქართველოს კონსტიტუცია (1995წ.) საზოგადოების გარანტია ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. კონსტიტუციის თანახმად პირს შეუძლია მიიღოს სრული, მიუკეროებელი და დროული ინფორმაცია თავის სამუშაო ადგილსა და საცხოვრებელ გარემოზე.

2018 წლის 1 იანვრამდე გარემოსდაცვითი ნებართვა რეგულირდებოდა შემდეგი კანონებით - საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ (2007წ); საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის“ შესახებ (1996წ.); საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ (2005წ.) და საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007წ.). 2018 წლის 1 იანვრიდან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ და „ეკოლოგიური ექპერტიზის“ შესახებ კანონები ჩაანაცვლა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა. ახალი კოდექსის უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას და ჩართულობას. კოდექსი არეგულირებს დეტალურ მოთხოვნებსა და პროცედურებს საზოგადოებრივი კონსულტაციების და აწესებს ვადებს ინფორმაციის გასაჯაროებისა და განხილვის შესახებ. საზოგადოებრივი გასაჯაროების პასუხისმგებლობა ეკისრება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკრინინგის, სკოპინგის, გზშ-ს მომზადების და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპებზე. სამინისტრო უზრუნველყოფს განცხადების გამოქვეყნებას, საჯარო მოსმენების ჩატარებას და შეხვედრის ოქმების მომზადებას. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები/მოსაზრებები და სამინისტრო ვალდებულია გაითვალისწინოს საზოგადოების აზრი.

შუახევი ჰესის პროექტის მშენებლობის ნებართვა გაიცა 2013 წლის 30 ივნისს. იმ დროისთვის მოქმედი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ კანონის შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელმა მოამზადა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში და ჩაატარა საჯარო კონსულტაციები ქართული კანონმდებილოს მიხედვით.

ქართული კანონმდებლობა მოითხოვს საზოგადოების ჩართულობას მხოლოდ გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში (არ არსებობს მოთხოვნა მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე საზოგადოების ჩართულობისა). ამგვარად, ოპერირების ფაზაზე არც ერთი ზემოაღნიშნული კანონი არ მოქმედებს.

2.3 საერთაშორისო საფინანსო კორპორციის (IFC) მოთხოვნები

საჯარო კონსულტაციები, ინფორმაციის გასაჯაროება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა წარმოადგენს IFC-ის სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკის ძირითად მოთხოვნებს და ხორციელდება „შესრულების სტანდარტების“ (PS) ფარგლებში. პროექტში დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მოთხოვნებია:

- პროცესი დაიწყოს პროექტის ციკლის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე;
- გაგრძელდეს პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლისთვის;
- გამოირიცხოს ყოველგვარი მანიპულაცია, ჩარევა, იძულება ან დაშინება;
- სადაც საჭიროა, უზრუნველყოფილ იქნას თემის მონაწილეობა; და
- განხორციელდეს დროული, შესაბამისი, გასაგები და მისაღები ინფორმაციის საუძველზე, კულტურულად მისაღებ ფორმატში.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკიდან გამომდინარე IFC ცდილობს ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს ზუსტი და დროული ინფორმაცია მისი საინვესტიციო და საკონსულტაციო საქმიანობების შესახებ, ასევე უფრო ზოგადი ინსტიტუციური ინფორმაცია. IFC-ს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის თანახმად, დასაფინანსებლად წარდგენილი ყველა A კატეგორიის პროექტი, როგორიც არის მოცემული პროექტი, მათი განხილვის შედეგების შინაარსი და რეკომენდაციები გახმაურებული იქნება და მოიცავს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- მითითებას PS-ზე და ნებისმიერი საჩივრის განხილვის მექანიზმს, მათ შორის მრჩეველ/ომბუდსმენს;
- პროექტის IFC კატეგორიზაციის დასაბუთებას;
- პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად სოციალურ და გარემოსდაცვით რისკებსა და ზემოქმედებებს; და
- აღნიშნული რისკებისა და ზემოქმედებების შემამცირებელ ძირითად ღონისძიებებს, PS-ების შესაბამის, პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ ყველა დამატებითი ღონისძიების მითითებას;
- პროექტის ფარგლებში მიერ შემუშავებული შესაბამისი გზშ–ს ელექტრონულ ასლებს ან ვებ-გვერდების მისამართებს;
- სხვა დამატებით დოკუმენტებს, მაგალითად სამოქმედო გეგმას, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას, განსახლების გეგმას და სხვა.

2.4 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მოთხოვნები

EBRD-ის ინფორმაციის გახმაურებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ძირითადი პოლიტიკის მთავარ დოკუმენტებს წარმოადგენენ გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (2008) და საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა (2008). IFC-ის მსგავსად EBRD–იც უყენებს მოთხოვნას პროექტის სპონსორს მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროექტის ადრეულ ეტაპზე პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის მანძილზე. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა იყოს ღია, არსებითი და მისაღები პოტენციური ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემებისთვის. ჩართულობის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოწყვლადი თემების ინტერესებს. გზშ დოკუმენტი უნდა ატარებდეს საჯარო ხასიათს პროექტის მთელი სიცოცხლის მანძილზე; პროექტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ასევე საჯარო ინფორმირების საგანია.

2.5 საჯარო განხილვა ევროკავშირის მოთხოვნების ფარგლებში

ევროკავშირის გზშ-ს დირექტივა 85/337/EEC (შესწ. 97/11/EC, 2003/35/EC და 2009/31/EC) განმარტავს ზემოქმედების შეფასების პროცესს, რომელიც უნდა დაიცვას ყველა წევრმა ქვეყანამ. გზშ დირექტივა მოითხოვს საჯარო კონსულტაციების ორგანიზებას პროექტის შემუშავების, ზემოქმედების შეფასების და პროექტის განხორციელების ეტაპებზე. იგი ასევე მოიცავს საზოგადოების ჩართულობის დოქტრინებს, რომლებიც გაერთიანებულია ორჰუსის კონვენციაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების საკითხების ხელმისაწვდომობის შესახებ.

დირექტივა მოითხოვს საზოგადოების ჩართვას ისეთი პროექტისთვის გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ბუნებრივ და/ან სოციალურ გარემოზე. პროექტის შემუშავების ფაზაზე საზოგადოებას უნდა მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. მიღებული შენიშვნები უნდა იყოს გათვალისწინებული, ხოლო შენიშვნების უარყოფა და უგულებელყოფა მოითხოვენ შესაბამის დასაბუთებას, ხოლო საზოგადოებას უნდა ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზების შესახებ. თუმცა, დირექტივა საზოგადოების წევრებს ანიჭებს უფლებას ეჭვი შეიტანონ გადაწყვეტილების ან მოქმედების სისწორეში. ევროკავშირის დირექტივა 2003/4/EC „საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაცის ხელმისაწვდომობის“ შესახებ ანიჭებს საზოგადოებას უფლებას ხელი მიუწვდებოდეს საჯარო სამსახურებში არსებულ ინფორმაციაზე და მოიცავს ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებსა და დებულებებს საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.

2018 წლის 1 იანვრის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მეშვეობით საქართველოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა ჰარმონიზაციაში არის ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რომლის ვალდებულებაც საქართველომ აიღო 2014 წელს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

2.6 აზიის განვითარების ბანკის (ADB) მოთხოვნები

ADB-ს მოთხოვნები A კატეგორიის პროექტების კონსულტაციების და გასაჯაროების შესახებ EBRD-ის და IFC-ის მოთხოვნების მსგავსია. ADB-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკაში ხაზგასმულია ზემოქმედების შეფასების შედეგების გამოქვეყნების აუცილებლობა და განხილვაში დაინტერესებული მხარეების ჩართვის საჭიროება. პოლიტიკა მხარს უჭერს საზოგადოების უფლებას მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია იმ პროექტებზე, რომლებიც ADB-ს დახმარებით ხორციელდება. პოლიტიკის მეშვეობით ADB ცდილობს საზოგადოებას მიაწოდოს დროული, გასაგები და შესაბამისი ინფორმაცია, და ასევე გაავრცელოს იგი იმ მოსახლეობაში, რომელიც აჭარისწყლის ჰესების კასკადი პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, რათა მათ დროულად შეძლონ საქმიანობაში ჩართვა და პროექტის დახვეწაში საკუთარი წვლილის შეტანა.

ამ მოთხოვნებს კიდევ უფრო ამყარებს ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკა (SPS), რომელიც შემდეგნაირად განსაზღვრავს ‘კონსტრუქციულ კონსულტაციებს’: პროცესი, რომელიც

(i) იწყება პროექტის მომზადების ადრეულ სტადიაზე და გრძელდება პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის განმავლობაში; (ii) უზრუნველყოფს ისეთი შესაბამისი და ადეკვატური ინფორმაციის დროულ გაშუქებას, რომელიც დაზარალებული ადამიანებისთვის არის გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი; (iii) ხორციელდება დაშინებისგან და იძულებისაგან თავისუფალ გარემოში; (iv) არის გენდერულად ინკლუზიური და მოქნილი, და მორგებული დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე; და (v) საშუალებას იძლევა ჩართოს პროექტით დაზარალებული ჯგუფები და დაინტერესებული მხარეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორიც არის მაგალითად საპროექტო გადაწყვეტები, შემარბილებელი ღონისძიებები, სარგებელის და შესაძლებლობების გაზიარება და განხორციელების საკითხები.

SPS-ის უსაფრთხოების მოთხოვნის თანახმად: მსესხებელი/დამკვეთი ვალდებულია ჩაატაროს გონიერი კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან, და ხელი შეუწყოს მათ მონაწილეობას პროექტის განვითარებაში, შემარბილებელი ღონისძიებებში და სარგებლისა და შესაძლებლებების გაზიარებაში. უსაფრთხოების მოთხოვნის 2: იძულებითი განსახლება მსესხებელს/დამკვეთს ავალდებულებს, რომ წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია განსახლების შესახებ, მათ შორის განსახლების გეგმები დროილად, ხელმისაწვდომ ადგილას და იმ ენაზე, რომელიც ადვილად გასაგებია ადგილმონაცვლე პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. წერა-კითხვის უცოდინარი ხალხისთვის, კი კომუნიკაციის სხვა შესაფერისი მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული.

ADB's პოლიტიკა ესადაგება შუახევი ჰესის სქემას, რომელიც ბანკმა დაამტკიცა 2014 წლის 19 მაისს.

3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ადრეულ ეტაპზე

3.1 პროექტის განვითარების ადრეული ეტაპი (2011-2012წწ.)

„აჭარისწყალი ჯორჯიამ" ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობა პროექტის განვითარების ადრეულ სტადიაზე, 2011 წელს დაიწყო. სკოპინგის ანგარიშის მომზადებისას ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ოთხი შეხვედრა ჩატარდა, ასევე ექვს სოფელში, რომლებიც სკოპინგის ანგარიშის მიხედვით პროექტის შეფასების არეალში მოექცა. ჯამში 10 საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა ისე, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცა შესაძლებლობა მიეღო მონაწილეობა.

2012 წელს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, „აჭარისწყალი ჯორჯიამ" ორივე მუნიციპალიტეტში ჩაატარა შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის თემის ლიდერებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების მიზანი იყო პროექტის წინარე კვლევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე პროექტის განხორციელების და დაგეგმილი სამშენებლო საქმიანობების, როგორიცაა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების (ბსგზშ-ს), მიწის შესყიდვის პროცედურების და დასაქმების პერსპექტივების შესახებ. ბსგზშ-ს დოკუმენტები გასაჯაროვდა შეხვედრების დროს და ასევე, კომპანიის ვებ-გვერდის მეშვეობით.

2013 წ. საჯარო საინფორმაციო ცენტრების გახსნამდე, თემთან ურთიერთობის ოფიცერი წარმოადგენდა წერილობითი და ზეპირი საჩივრებზე/შენიშვნებზე საკონტაქტო პირს. მის პასუხისმგებლობაში ასევე შედიოდა ყველა შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები და კრების ოქმების მომზადება.

3.2 მშენებლობის ფაზა (2013-2016წწ.)

„აჭარისწყალი ჯორჯიამ" შუახევი ჰესის მშენებლობის ნებართვა 2013 წლის 31 ივლისს მიიღო. 187მგვტ-იანი შუახევი ჰესის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია 2013 წლის 16 სექტემბერს გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, ასევე ინვესტორი კომპანიების წარმომადგენლები. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი თემების წარმომადგენლები. ღონისძიება გააშუქა ცენტრალურმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო მედია არხებმა.

ამ დროისთვის, „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ გახსნა საინფორმაციო ცენტრი ხულოსა და შუახევში და დანიშნა საინფორმაციო ოფიცრები იმ მიზნით, რომ მათ ქონოდათ ყოველდღიური კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან. 2013 წელს მშენებლობის დაწყების პირველ ეტაპზე მოსახლეობასთან შეხვედრების მთავარი თემა იყო პროექტის მიმდინარეობა, პრობლემები და გამოწვევები, მიწის შესყიდვა და გარემოსდაცვითი საკითხები, სოციალური პასუხისმგებლობა და დასაქმება.

ამავე პერიოდიდან კომპანია აქტიურად თანამშრომლობდა წამყვან მედია ორგანიზაციებთან ორივე მუნიციპალიტეტში. „აჭარის ტელევიზიით“ და „ტვ 25-ის“ მეშვეობით კომპანია აშუქებდა ინფორმაციას, ასევე ბეჭდვით მედიაშიც, როგორიცაა გაზეთი „აჭარა,“ „ხულო“ და „შუახევი.“

საჯარო საინფორმაციო ცენტრის მიერ დადებითი შედეგის გამო, კომპანიამ დამატებითი ცენტრი გახსნა 2014წ. სხალთის ხეობაში (ხულო). სადაც თემის საინფორმაციო ოფიცრები დასაქმდნენ. ამავდროულად, კომპანიის სოციალურმა გუნდმა დაიწყო საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ადგილობრივი თემის ლიდერებთან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებტან რეგულარულად.

2014წ. „აჭარისწყალი ჯორჯიას“ და „აგეს“ (მშენებელი კონტარქტორი) სოციალური ოფიცრები უფრო გააქტიურდნენ და უფრო მეტად ჩაერთვნენ ადგილობრივ თემებთან შეხვედრებში. კონტრაქტორის ჩართულობამ უზრუნველყო პროდუქტიული კომუნიკაციის წარმართვა ადგილობრივ მოსახლეობასა და კონტარქტორს შორის.

2015წ. „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ კიდევ უფრო გააძლიერა კომუნიკაცია ძირითად თემებთან, კერძოდ შეხვედრებში ჩართული იყო ასევე თემის ლიდერები. საინფორმაციო ოფიცრები ყოველდღიურ რეჟიმში ხვდებოდნენ იმ სოფლების წარმომადგენლებს, რომლებიც სამუშაო არეალის ახლოს მდებარეობდა. საინფორმაციო შეხვედრები ტარდებოდა ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც, როგორიცაა სოფლის თავკაცები და ადგილობრივი მერიის წარმომადგენლები თემებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015წ. „აგეს“ სოციალური გუნდი კვლავ აგრძელებს მუშაობას „აჭარისწყალი ჯორჯიას“ სოციალურ გუნდთან ერთად და უფრო მეტად ერთვება შეხვედრებში ადგილობრივ თემებთან.

მშენებლობის ბოლო ეტაპზე (სექტემბერი, 2016წ - მარტი, 2017წ.) „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ და „აგემ“ ასევე ყველა ქვეკონტარქტორმა კომპანიამ (კეტერინგი, მოვლა და ა.შ.) განახორციელეს დემობილაზაციის პროცედურები, რომელიც მოიცავდა ისეთ ზომებს, როგორიცაა დროული შეტყობინება, საჩივრების მექანიზმი და საკონსულტაციო დახმარება გაუწიეს ადგილობრივ მუშებს.

საერთი ჯამში აქტიურმა ჩართულობამ ადგილობრივ მოსახლეონასთან, რომლებზეც პროექტის საქმიანობამ იქონია, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ზეგავლენა, ხელი შეუწყო მოსახლეობასთან ორმხრივი ნდობის ჩამოყალიბებას, გაიზარდა პროექტის საიმედოობა და მოსახლოების მხრიდან იგრძნობადა პროექტის მხარდაჭერა.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის პროცესში „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ გაასაჯაროვა ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია როგორიცაა გზშ-ს ანგარიში, მიწის

შესყიდვის და საარსებო გარემოს აღდგენის გეგმა, საარსებო გარემოს აღდგენის დეტალური გეგმა, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა და სხვა.

3.3 რეაბილიტაციის ფაზა (2017-2019წწ.)

სარეაბილიტაციო სამუშაოებიs დაწყების შემდგომ 2017წ. ნოემბერი, კომპანიამ მოსახლეობასთან ჩართულობის სტრატეგია მოარგო ახალ სამუშაო გარემოს თუმცა კვლავ ხელმძღვანელობდა კრედიტორების მიერ დამტკიცებული მშენებლობის ფაზის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმით. კერძოდ:

- დიდაჭარის კემპზე ხელახლა გაიხსნა საინფორმაციო ცენტრი, რომელიც მოიცავდა ხულოს მუნიციპალიტეტს;
- სხალთის საინფორმაციო ცენტრი დაიხურა, თუმცა კომპანიამ შეინარჩუნა თემთან ურთიერთობის ოფიცერი, რომელიც ადგილობრივი ხეობის მოსახლეობისთვის მთავარ საკონტაქტო პირს წარმოადგენდა;
- ხიჭაურის მთავარი კემპი წარმოადგენდა დამატებით საინფორმაციო ცენტრს შუახევის მუნიციპალიტეტისთვის;
- ყველა დაინტერესებულ მხარესთან საინფორმაციო შეხვედრები ტარდებოდა რეგულარულად (როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლება, ზემოქმედები ქვეშ მოქცეული სოფლები, მუშები, მედია, ა.შ.) „აჭარისწყალი ჯორჯიას“ და „აგეს“ სოციალური გუნდებთან ერთად, პროექტის ტექნიკური პერსონალი და უსაფრთხოება ჩართული იყო ყოველდღიურ კომუნიკაციაში;
- კომპანია თვეში ერთხელ აქვეყნებდა საინფორმაციო გვერდს გარეზ „აჭარაში,“ რომელიც ეხებოდა პროექტის სიახლეებს. გარდა ამისა, კომპანია ხიჭაურის კემპში რეგულარულად ადგილობრივი მედიისთვის აწყობდა ბრიფინგებს;
- „აჭარისწყალი ჯორჯია“ აგრძელებს საჩივრების რეგისტრაციას საჩივრების რეესტრში და ახდენს მათზე რეაგირებას;
- მუშათა საჩივრების რეესტრს ასევე აწარმოებს კონტარქტორი კომპანი „აგე ბათუმი“;
- „აჭარისწყალი ჯორჯია“ მოქმედებს მშენებლობის ფაზაზე შემუშავებული შრომითი მართვის პოლიტიკით;
- კომპანიამ განაახლა 2017 წელს მომზადებული მუშა-ხელის დემობილიზაციის გეგმა „აგეს“ მიერ მოწოდებული განახლებული სქემის (ოქტომბერი-დეკემვერი, 2019წ.) მიხედვით. შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებს დემობილიზაციის განახლებულ პრინციპებსა და პროცედურებს. დემობილიზაციის გეგმა შემუშავებული იქნა, რათა მუშახელის გაშვების დროს მომხდარიყო რაიმე უარყოფითი ზეგავლენის შერბილება. დოკუმენტი შემუშავდა კონსულტაციების საფუძველზე, როგორც ქართველ, ასევე თურქ მუშახელთან, კონსულტაციის პროცესში ასევე ჩართული იყო ადგილობრივი თემები და მერიები.

ჰესის ექსპლატაციაში გაშვებამდე, „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ მოაწყო საინფორმაციო შეხვედრები ყველა დაინტერესებულ მხარესთან რათა მიეწოდებინა ინფორმაცია ექპლუატაციაში გაშვების თარიღის, უსაფრთხოების, წყალგაშვებების და ოპერირების პროცედურების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის იანვრის ჩათვლით და მოიცვა ყველა სამიზნე ჯგუფი. ასე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია შეხვდა მოწყვლად ჯგუფებს, როგორიცაა ქალები და შშმ პირები. ქვემოთ ჩამოთვლილია ჰესის ექსპლუატაციის უსაფრთხოების საკითხების შესახებ ჩატარებული შეხვედრები.

თარიღი	**ადგილმდებარეობა**	**დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები**
11 ოქტომბერი, 2019	ხულოს ოფისი	ადგულობრივი გაზეთის კორესპოდენტი
17 ოქტომბერი, 2019	შუახევის მერია	მერიის თანამშრომლები
18 ოქტომბერი, 2019	ხულოს მერია	მერიის თანამშრომლები
28 ოქტომბერი, 2019	სოფ. მახალაკიძეები, შუახევი	მახალაკიძეების მაცხოვრებლები, თემის ლიდერები
30 ოქტომბერი, 2019	სოფ. ყინჩაური, ხულო	ყინჩაურის მაცხოვრებლები, თემის ლიდერები
1 ნოემბერი, 2019	აჭარის საგანგებო სიტუაციების სააგენტო	აჭარის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს დირექტორის მოადგილე
12 ნოემბერი, 2019	აჭარის საგანგებო სიტუაციების სააგენტო	აჭარის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს დირექტორი
20 ნოემბერი, 2019	შუახევის მერია	შუახევის მერის მოადგილე / შუახევის მერიის წარმომადგენელი (სოფ ნიგაზეულში, მახალაკიძეებში, პაპოშვილებსა და ხიჭაურში) / შუახევის მერი / მერიის თანამშრომლები / შუახევის პოლიცია / ადგილობრივი გაზეთის კორესპოდენტი / საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები
20 ნოემბერი, 2019	სოფ ხიჭაური	შუახევის მერიის წარმომადგენლები / ხიჭაურის თემი / ადგილობრივი კორესპოდენტი
22 ნოემბერი, 2019	შუახევი ჰესი	საქართველოს საგანგებო სიტუაციის სამსახურის უფროსი და სააგენტოს წარმომადგენლები
25 ნოემბერი, 2019	ხიჭაურის ბანაკი (შუახევი)	შუახევის მერიის მოადგილე / მახალაკიძეები (რაბათის) მაცხოვრებლები

თარიღი	ადგილმდებარეობა	დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები
27 ნოემბერი, 2019	მახალაკიძეების საჯარო სკოლა (შუახევი)	სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები
28 ნოემბერი, 2019	ქალთა ოთახი (შუახევი)	ადგილობრივი ქალები
December 2 დეკემბერი, 2019	სოფ ყინჩაური (ხულო)	ხულოს მერიის წარმომადგენლები / სოფ ყინჩაურის, ძმაგულას, ჭერის, კვატიის წარმომადგენლები
5 დეკემბერი, 2019	ხულოს მერია	ადგილობრივი ქალები
12 დეკემბერი, 2019	სოფ პაპოშვილები (შუახევი)	შუახევის მერიის წარმომადგენელი / სოფ პაპოშვილები / სკოლის მოსწავლეები და მასწვალებლები
23 დეკემბერი, 2019	ხულოს მერია	ხულოს მერიის წარმომადგენლები / ხულოს მერი და მერიის თანამშრომლები / მერიის წარმომადგენლები ადგილობრივ თემებში / საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები
26 დეკემბერი, 2019	შუახევის საგანგებო სიტუაციების სააგენტო	შუახევის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრმლები
26 დეკემბერი, 2019	ქედის მერია	ქედის მერიის წარმომადგენლები / ქედის მერი და მერიის თანამშრომლები / მერიის წარმომადგენლები ადგილობრივ თემებში / საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები
30 დეკემბერი, 2019	ხულოს საგანგებო სიტუაციების სააგენტო	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები
30 დეკემბერი, 2019	სოფ ელელიძეები (ხულო)	სოფ ელელიძეების მაცხოვრებლები / მერის წარმოამდგენელი ამ თემში
22 იანვარი, 2020	ხულოს მერია	სოფ დიდაჭარა / მერის წარმომადგენელი ამ თემში
22 იანვარი, 2020	ხულოს მერია	ხულოს მერიის წარმომადგენლები დიდაჭარის კაშხალთან ახლოს მდებარე თემებში

4 დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და ჩართულობის პროგრამა

დაინტერესებულ მხარეებში იგულისხმება პიროვნება ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც არიან პროექტის პირდაპირ ან არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ ან აქვთ

რაიმე სახის ინტერესი პროექტის მიმართ, ან შესაძლებლობა ზემოქმედება მოახდინონ პროექტზე, როგორ პოზიტიურ ისე ნეგატიურ ჭრილში.

მშენებლობისა და ოპერირების ფაზაზე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა შესაძლებელია იყოს სხვადასხვა. შესაბისად, მშენებლობის ფაზის ბოლო ეტაპზე კომპანიამ დაიწყო ოპერირების ფაზის დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება. ინდეტიფიცირებაში ჩართული იყვნენ ტექნიკური ჯგუფის თანამშრომლებიც. დაინტერესებულ მხარეთა მეფინგის მიზანია დაიტერესებულ მხარეთა დაჯგუფება ოპერირების ფაზაზე არსებული შესაძლო ზემოქმედების ხასიათიასა და სიმწვავის მიხედვით.

ცხრილი 1-ით ნაჩვენებია დაინტერესებულ მხარეთ ძირითადი ჯგუფები და მათი კავშირი პროექტთან.

ცხრილი 1 დაინტერესებულ მხარეთა ძირითადი ჯგუფები და მათი კავშირი პროექტთან

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	პროექტთან შესაბამისობა
შიდა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი		
ჰესის ოპერირების ფაზის თანამშრომლები	ოპერირების ფაზის თანამშრომლები	მიიღებენ სარგებელს დასაქმების გზით. თუმცა, არსებობს რისკი, რომ ზიანი მიადგეს მათ ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. ასევე შესაძლებელია დაირღვეს მათი შრომითი უფლებები. კომპანია უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას.
გარე დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი		
წყალსაცავის ზედა ბიეფში მცხოვრები მოსახლეობა	ხულოს მუნიციპალიტეტი: დიდაჭარა, პაქსაძეები, ღურტა გელაძეები (დიდაჭარის კაშხალი), კვატია (სხალთის კაშხალი)	მოსახლეობის ინტერესის სფეროა საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხები და შესაბამისად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ოპერირების ფაზაზე არსებულ იმ შეზღუდვებზე, რაც დაკავშირებულია საზოგადოების ჯანმრთელობასთან და უსაფრთოხებასთან. ისინი ასევ მიიღებენ სარგებელს დასაქმებით და კომპანიის სოციალური პროექტებისგან.

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	პროექტთან შესაბამისობა
წყალსაცავის ქვედა ბიეფში, ჰესისა და დამბის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა.	ხულოს მუნიციპალიტეტი: დიაკონიძეები, ელელიძეები, განახლება, ოქრუაშვილები (დიდაჭარის კაშხალი), წაბლანა, ხიჭაური, ჭერი (სხალთის კაშხალი)	დაინტერესებულნი არიან კაშხლის უსაფრთხოებით, წყალსაცავის გარეცხვისა და ეკოლოგიური ხარჯის საკითხებით. ისინი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ჯანმრთელობისა და უსაფრთოხების უზრუნველყოფით დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ. სარგებელს მიიღებენ დასაქმებითა და არაპირდაპირი ეკონომიკური შესაძლებლობებით. ასევე კომპანიის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტებით.
	შუახევის მუნიციპალიტეტი: მახლაკიძეები, პაპოშვილები (ჩირუხისწყლის დამბა), ხიჭაური ქედის მუნიციპალიტეტი: ჯალაბაშვილები (დანდალოს ხიდი)	
35 კვ-ანი გადამცემი ხაზის ზემოქმედების ქვეშ არსებული მოსახლეობა	შუახევის მუნიციპალიტეტი: ოქროპილაური, დაბაძველი, დაბა შუახევი, ნენია, ფურტიო,ბესელაშვილები, ნიგაზეული,ჩანჩხალო. ხულოს მუნიციპალიტეტი: წაბლანა,ხიჭაური, ჭერი, გურძაული, ძმაგულა.	გადამცემი ხაზით გამოწვეული სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების საკითხებით.
პროექტის გამო ეკონომიკურად ადგილმონაცვლე პირები	ჰესისა და 35 კვ-ანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის მესაკუთრები და მოსარგებლეები	ჩაერთვებიან მიწის შესყიდვის და საარსებო გარემოს აღდგენის საბოლოო აუდიტში
მოწყვლადი ჯგუფები/პირები	პენსიონრები, ქალით მართული ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები.[1]	დაინტერესებულნი ოპერირების ფაზის საკითხებით. აუცილებელია მათთან შეხვედრა ადგილზე (მათ საცხოვრებელ სახლებში ან სოფელში)
ყოფილი მუშები	ადგილობრივები, რომლებიც მუშაობდნენ მშენებლობის ფაზაზე	დაკარგეს სამუშაო ადგილი დებომილიზაციის შედეგად

[1] მხოლო ის მრავალშვილიანი ოჯახები, რომლები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მოანცემთან ერთიან ბაზაში.

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	პროექტთან შესაბამისობა
ტურისტული საგენტოები	ქართველი და უცხოელი ტურისტები	ტურისტები, რომლებიც ეწვევიან პროექტის მიმდებარე ტერიტირორიას
ბიზნესი და საწარმოები		შეაძლო ზემოქმედება შუახევი ჰესის ოპერირების შედეგად
	„აწჰესი“ - ენერგო-პრო ჯორჯია	
	სანალია ჰესი	მდებარეობს ჩირუხის დამბის ზემოთ, შესაძლო თანამშრომლობა
საფინანსო ინსტიტუტები	IFC, EBRD, ADB	საფინანსო ინსტიტუტები დაინტერესებულნი არიან კომპანიის საქმიანობის შესაბამისობით მათ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან
სახელმწიფო სტრუქტურები	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტრო	დაინტერებულნი არიან კომპანიის საქმიანობის დარგის მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობით ქვეყნის ელექტროდამოუკიდებლობის მოლოდინი
	საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
	საქართველოს ელექტროსისტემა (GSE)	
	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (GNERC)	
	ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი (ESCO)	
ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	დაინტერესებული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით.
	ხულოს მუნიციპალიტეტი	
	შუახევის მუნიციპალიტეტი	
	ქედის მუნიციპალიტეტი	
	საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	
	აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
	აჭარის სატყეო სააგენტო	
	ტურიზმის დეპარტამენტი	
	აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო	საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშრებით ერთობლივი აქტივობები
სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები,	დემოკრატიის ინსტიტუტი	დაინტერესებულნი არიან მოსახლების უფლებებითა და გარემოსდაცვითი საკითხებით
	ელკანა	

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	პროექტთან შესაბამისობა
არასამთავრობო ორგანიზაციები	შავი ზღვის ეკო აკადემია	
	არასამთავრობო ორგანიზაცია „ფსოვი“	
	არასამთავრობო ორგანიზაცია “ფლორა და ფაუნა“	
	ასოციაცია ”მთა-ბარი“	
	მწვანე ალტერნატივა	
	მწვანეთა მოძრაობა	
მედია	აჭარის ტელევიზია	ოპერირების საკითხებსა და სხვა პროექთან დაკავშრებული საკითხების გაშუქება, მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. ასევე კომპანიის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს.
	“TV25”	
	გაზეთი „აჭარა”	
	გაზეთი “ბათუმელები“	
	გაზეთი “შუახევი“	
	გაზეთი „ხულო“	

5 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ უზრუნველყოფს, რათა დაინტერესებული მხარეები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი პროექტის შესახებ მთელი ოპერირების ფაზაზე. დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ექნებათ გამოთქვან მოსაზრება პროექტის შესახებ, წარადგინონ საჩივრები პროექტისა და კომპანიის ქმედებების შესახებ. ქვემოთ მოცემულია ცხრილი 2, რომელიც აჩვენებს როგორ ხდება დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება.

კომპანიას გამიზნული აქვს შეინარჩუნოს სოციალური გუნდის მშენებლობის ფაზის ორგანიზაციული სტრუქტურა, რათა შესაძლებელი იყოს სოციალური საკითხების მართვა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ეფექტური განხორციელება. შპს „აჭრისწყალი ჯორჯია“ შეინარჩუნებს მოსახლეობასთან ურთიერთობის 2 ოფიცერს, რომლების იმუშავებენ დიდაჭარასა და სხალთაში (ხულოს მუნიციპალიტეტი), ასევე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტს, CSR მენეჯერს და სოციალურ დირექტორს. საინფორმაციო ცენტრები დიდაჭარასა და ხიჭაურში დაიხურება ოპერორებაში შესვლის წინა პერიოდში. შუახევის ჰესი შეითავსებს საინფორმაციო ცენტრის ფუნქციებს. საჭიროების შემთხვევაში მოხდება ზემოთ ნაჩვენები სტრუქტურის ცვლილება.

ცხრილი 1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	ინფორმაცია, რომელიც უნდა გასაჯაროვდეს სპეციალური ჯგუფისთვის	ვადები	საკომუნიკაციო საშუალება
შიდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა			
კომპანიის თანამშრომლები, ჰესზე მომუშავე პერსონალი	მიმდინარე აქტივობები	ოპერირებაში შევლის ფაზა და ოპერირების ფაზა	შეხვედრები/ჯგუფური ვორქშოფი
	შრომით პოლიტიკის განხორციელება, შრომითი პირობების დაცვა		შრომითი კონტრაქტი
	ჯანრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურები და პოლიტიკა		უსაფრთხოების ტრეინინგი
	სოციალური და გარემოსდაცვითი პოლიტიკა		
გარე დაინტერესებულ მხარეები			
წყალსაცავის ზედა ბიეფის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა	ოპერირებაში შესვლის დეტალებზე/თარიღზე ინფორმაციის მიწოდება ცნოებიერების ამაღლება: ჰესის ოპერირებასა და მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით	ექსპლუატაციის დაწყებამდე ექსპლოატაციის დაწყებამდე და შემდგომ ოპერირების ფაზაზე	შეხვედრები, პრეზენტაციები, საინფორმაციო ბროშურები, უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით აქტივობები, კომპანიის ვებ-გვერდი
	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში არსებულ პროექტებზე		
წყალსაცავის ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობა	ოპერირებაში შესვლის დეტალებზე/თარიღზე ინფორმაციის მიწოდება ცნობიერების ამაღლება: ჰესის ოპერირებასა და	ექსპლუატაციაში შესვლამდე ოპერირების ფაზაზე	შეხვედრები, პრეზენტაციები, საინფორმაციო ლიფლეტები, მემორანდუმები, უსაფრთოხების ნიშნები, უსაფრთხოების საკითხებზე ცნოებიერების ამაღლება, სკოლებში ვიზიტი, ვებ-გვერდი

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	ინფორმაცია, რომელიც უნდა გასაჯაროვდეს სპეციალური ჯგუფისთვის	ვადები	საკომუნიკაციო საშუალება
	მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით		
	ინფორმაცია წყალსაცავის გარეცხვის, ეკოლოგიური ხარჯის, მოსახლეობის უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შესახებ	ექსპლუატაციაში შესვლამდე და წყალსაცავის პირველი გარეცხვის ჩატარებამდე (აპრილი-ივნისი 2020)	შეხვედრები, საინფორმაციაო ბროშურები,შინამეურნეობებ თან შეხვედრა, განსაკუთრებული აქცენტით ბავშვებზე, ქალებზე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე (პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის პირები)
ეკონომიკურად ადგილმონაცვლე პირები	საარსებო გარემოს აღდგენის მონიტორინგი	ოპერირების პირველი წელი	შეხვედრები სატელეფონო ზარები ინტერვიუები/კვლევები
	შესაბამისობის აუდიტში მათი ჩართვა	აუდიტის ჩატარებამდე	საველე ვიზიტები სატელეფონო კომუნიკაცია კვლევები
	მიწასთან დაკავშრებულ საკითხებზე მსჯელობებში ჩართვა	სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ	საველე შეხვედრები; მოსახლეობასთან შეხვედრები
მოწყვლადი ჯგუფები	ცნობიერების ამაღლება: ჰესის ოპერირებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი უსაფრთოხების საკითხები	ექსპლუატაციაში შესვლამდე	საცხოვრებელ ადგილას შეხვედრები; საინფორმაციო ლიფლეტები; სატელეფონო ზარები
ყოფილი დასაქმებულები	დასაქმების საკითხები	დემობილიზაციის შემდგომ	შეხვედრები
ტურისტული სააგენტო	ტურისტიებისთვის შესაძლებლობის მიცემა მოინახულონ ჰესის ტერიტორია. გაეცნონ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებს	2020 წლის ივნისიდან	სატელეფონო ზარები ტური ჰესზე შეხვედრა მოთხოვნის შემთხვევაში
ბიზნესი და საწარმოები	ოპერირების საკითხები	ექსპლოატაციაში შესვლამდე	შეხვედრები კომპანიის ვებ-გვერდი
ფინანსური ინსტიტუტები	გარემოსდაცვით და სოციალური ვალდებულებები	გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების	წელიწადში 2-ჯერ ანგარიშის გაზიარება საიტზე ვიზიტი

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	ინფორმაცია, რომელიც უნდა გასაჯაროვდეს სპეციალური ჯგუფისთვის	ვადები	საკომუნიკაციო საშუალება
		განხორციელების შესახებ ანგარიშის გაზიარება	ელ ფოსტით კომუნიკაცია ვებ-გვერდი
ადგილობრივი და ცენტრალური სამთავრობო სტრუქტურები	ოპერირების ფაზის მიმდინარე საკითხები გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულება; მიწის საკითები; სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში არსებული პროექტები.	ექპლუატაციაში შესვლამდე და მუდმივად ოპერირების ფაზაზე	ანგარიშები საიტზე ვიზიტი ელ. ფოსტით კომუნიკაცია წერილები პირადი კომუნიკაცია სპეციფიკურ საკითხებზე ვებ-გვერდი
სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო ორგამიზაციბი, კვლევითი ორგანიზაციები	ოპერირების ფაზის მიმდინარე საკითხები	ერთჯერადად და საჭიროების შემთხვევაში	სემინარები ვორქშოფები ვიზიტორთა ტური ჰესზე ვებ-გვერდი
მედია	ოპერირების ფაზის მიმდინარე საკითები გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები; სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები	ექსპლოატაციაში შესვლამდე და ოპერირების მანძილზე	შეხვედრები მედია ტურები ინტერვიუები ბროშურები პრეს რელიზი საგაზეთო სტატიები ვებ გვერდი
საზოგადოება (ყველა დაინტერსებული მხარე)	ოპერირეის ფაზის მიმდინარე საკითხები გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებები CSR პროექტები	რეგულარულად	ვებ გვერდი მედია საგაზეთო სტატიები პრესს რელიზი

კომპანიის სოციალური ჯგუფი მოსახლეობასთან რეგულარულ შეხვედრებს აწყობს მათივე სოფელში ან საცხოვრებლ სახლებში, რადგან მოსახლეობა შეხვედრების ამ ფორმატში თავს გრძნობენ კომფორტულად. ეს არის მშენებლობის ფაზაზე დანერგილი გამოცდილი პრაქტიკა და იმავე ფორმით უნდა გაგრძელდეს ოპერირების ფაზაზეც. სოციალური ჯგუფი გააგრძლებს კითხვების, შენიშვნებისა და კომენტარების ჩაწერას მშენებლობის ფაზის მსგავსად. იმისათვის, რომ მოხდეს დაინტერესებულ მხარეებთან

კომუნიკაციის გაკონტროლება შეიქმნა დაინტერესებულ მხარესთან ჩართულობის რეესტრი (დანართი C). დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტი პასუხისმგებელია აღნიშნული რეესტრის წარმოებაზე.

კომპანია გამოსცემს სხვადასხვა სახის პუბლიკაციებს, როგორიცაა ბროშურები, საინფორმაციო ლიფლეტები და საჭიროების შემთხვევაში, როცა მოსახლეობამდე კონკრეტული ინფორმაციის მიტანა იქნება საჭირო - საგაზეთო სტატიებს. კომპანია ასევე მუდმივად განაახლებს ვებ-გვერდს www.agl.com.ge,. ვებ-გვერდის მეშვეობით გაასაჯაროებს მნიშვნელოვან დოკუმენტებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. მათ შორის: გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს, მიწისა და განსახლების გეგმას თავისი დანართებითა და ცვლილებებით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმას, გეოლოგიური ანგარიშს, ეკლოგიური ხარჯის შესახებ ინფორმაციას (ოპერირებაში შესვლის პირველ ეტაპზე ყოველკვირეულად და შემდგომში ყოველთვიურად) და ა.შ. ადგილობრივ მოსახლეობას პუბლიკაციებთან წვდომა ექნებათ არა მხოლოდ ვებ-გვერდის მეშვეობით, არამედ ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში და ბათუმის ოფისში.

6 დაინტერესებული მხარეები და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პროგრამები

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია ოპერირების ფაზაზე არის ისეთ პროგრამებზე ფოკუსირება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მაღალმთიანი აჭარის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები მიზნად ისახავს ოპერირების ფაზაზე, პროექტის გავლენის ზონაში მოხვედრილი მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული შესაძლებლობების შექმნას, მათი მოლოდინების მართვას და რისკების არიდებას.

ოპერირების ფაზაზე განისაზღვრა სამი პრიორიტეტული მიმართულება:

- ადგილობრივი საშუალო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა
- განათლება
- საარესობა გარემოს მდგრადობა

7 საჩივრების მექანიზმი

პროექტის საჩივრების მექანიზმი შეიქმნა ჯერ კიდევ მშენებლობის ადრეულ ფაზაზე 2012 წელს. დღემდე პროექტის სოციალური ჯგუფი აქტიურად მიმართავს მას. გასაჩივრების მექანიზმი იარსებებს მთელი ოპერირების ფაზის პერიოდში.

საჩივარი არის კონკრეტული პრობლემა ან საკითხი, რომელმაც შესაძლებელია

მომავალში წარმოქმნას რაიმე სახის პრობლემა და გახდეს დავის საფუძველი. როგორც ყოველთვის, კომპანია შეეცდება აქტიურად იმუშაოს საჩივრების პრევენციის კუთხით შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებითა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მეშვეობით. უფრო კონკრეტულად დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტი (SES) იმუშავებს საჩივრების რეესტრის განახლებაზე, საჩივრების და კითხვების მიღებაზე და უზრუნველყოფს, რომ საჩივრის ავტორს პასუხი გაეცეს დროულად, დადგენილ ვადებში. ნებისნიერ მოქალაქეს შეუძლია საჩივრის წარდგენა კომპანიაში, თუ იგი ფიქრობს, რომ ჰესის ოპერირება ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობაზე, გარემოსა და მათი ცხოვრების ხარისხზე. ნებისმიერ ადამიანს ასევე შეუძლია მოსაზრებების და რეკომენდაციების წარდგენა.

ნებისმიერი შენიშვნის ან საჩივრის შემოტანა შესაძლებელია ზეპირსიტყვიერად, წერილობითი ფორმით საჩივრის ფორმის შევსებით მეშვეობით. შევსების შემდეგ საჩივრის ფორმა წარედგინება კომპანიის წარმომადგენელს, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ყველა საჩივრის რეაგირება ხდება 10 დღის განმავლობაში. თუ შესაძლებელია დაუყოვნებლივ მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება, კომპანია ამას აკეთებს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში. თუ დაიყოვნებლივ რეაგირება არ არის საჭირო, მაშინ საჩივარზე წერილობით პასუხის გაცემა ხდება 21 დღის განმავლობაში.

წინამდებერე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა დაწვრილებით აღწერს საჩივრის განხილვის პროცედურას და პროცესს თუ როგორ ხდება წამოჭრილ პრობლემასთან, საჩივართან გამკლავება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სისტემის შესაბამისად. საჩივრებზე შემდეგი სახის ინფორმაცია დარეგისტრირდება სპეციალურად შექმნილ რეესტრში:

- დაინტერესებული მხარის სახელი და გვარი;
- რა სახის საჩივარია;
- საჩივრის მიღების, პასუხის გაცემი/გადაწყვეტისა და დახურვის თარიღები.

კომპანია ვერ მოახდენს რეაგირებას ანონიმურ საჩივარზე. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კომპანიაში საჩივრის წარდგენა არ ართმევს დაინტერესებულ მხარეს უფლება გამოიყენოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა გასაჩივრების მექანიზმები.

კომპანიის დაინტერესებულ მხარეენთან ჩართულობის სპეცილისტი არის საჩივრებთან და/ან კომენტარებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი. საჩივრები და კომენტარები უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე.

სახელი: ინგული დავითაძე
მისამართი: შუახევი ჰესი
ელ-ფოსტა: inguli.davitadze@agl.com.ge; info@agl.com.ge
მობ: + 995 577 20 34 15
ვებგვერდი: **www.agl.com.ge**

ან შესაძლებელია ფოსტით გაგზავნა შემდეგ მისამართზე
შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“
ი. აბაშიძის ქუჩა N6
ბინა 2/3
6010 ბათუმი, საქართველო

8 მონიტორინგი და ანგარიშგება

SEP-ის განხოცრიელების ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით, კომპანია განახორციელებს რეგულარულ მონიტორინგს და შემდეგ აქტივობებს:

- ოპერირების SEP-ის მუდმივი განახლება და გასაჯაროება;
- CLO და SES-ი მიერ საქმიანობის დოკუმენტირება და შენახვა (შეხვედრის ოქმი და თანდართული მტკიცებულებები);
- საჩივრების რეესტრის წარმოება: თითოეულ საჩივარს მიენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი და მოხდება რეაგირებისა და საჩივრის დახურვის ვადების აღრიცხვა.;
- ყოველწლიური ანგარიშგება საფინანსო ინსტიტუტების (EBRD, IFC და ADB) წინამდებარე გეგმის განხორციელების თაობაზე.
- SEP-ის განახლება საჭიროების შემთხვევაში (ოპერირების დაწყებიდან 2 წელიწადში, ამის შემდგომ რაიმე ცვლილების შემთხვევაში).

დანართი A: საჩივრის ფორმა

საჩივრის ფორმა	
საჩივრის ნომერი (შეივსოს AGL-ის მიერ)	
საკონტქატო ინფორმაცია:	სახელი:
	მისამართი
	ტელეფონი
	ელ ფოსტა:
გთხოვთ მიუთითოთ გსურთ თუ არა კონფიდენციალურობა [შენიშვნა: კომპანიას სჭირდება თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია თქვენთან კომუნიკაციის მიზნით. იგი არ გადაეცემა მესამე მხარეს.]	
როგორ გსურთ კომუნიკაცია?	ფოსტა ტელეფონი ელ-ფოსტა
გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა	
სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ინფორმაცია [გრაფა არის სავალდებულოს შესავსები]	
გთხოვთ, აღწეროთ საჩივრის დეტალება (პრობლემის შინაარსი, ვის შეემთახვა, როდის და რამდენჯერ)	
რა არის საჩივრის მოგავარების გზა ? თქვენი შემოთავაზება ასეთის არსებობის შემთხვევაში	
როგორ ჩავაბაროთ საჩივარი აჭარისწყალი ჯორჯია-ს	ფოსტით: შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს ბათუმის ოფისი ირაკლია აბაშიძის N6, ბათუმი 6010, საქართველო
	პირადად: შუახევი ჰესი
	ელექტრონული ფოსტა: inguli.davitadze@agl.com.ge or info@agl.com.ge
ხელმოწერა	თარიღი

დანართი B. შეხვედრის ოქმის მაგალითი

თარიღი	
ადგილი	
დამსწრეები	
საკითხი	
მოკლე მიმოხილვა	
შეჯამება/საკთხის გადაწყვეტა	-
	-
	-
	-
	-
	-
ხელმოწერა	

დანართი C: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეესტრი

თარიღი	დაინტერესებული პირის სახელი და გვარი	ადგილი	ჩართულობის სახე (პირადად შეხვედრა, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა და ა.შ)	მოთხოვნები	შეშფოთების მიზეზი	განხორციელებული აქტივობები/გადადგმული ნაბიჯები	კომპანიის პასუხისმგებელი პირი	კომენტარი